

შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. თბილისი

2022 წ.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	4
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	6
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
შემოსავლის აღიარება.....	8
ხარჯების აღიარება	8
სხვა ხარჯები	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია.....	9
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	9
მოგების გადასახადი.....	9
ძირითადი საშუალებები.....	10
აქტივების გაუფასურება.....	10
იჯარა.....	11
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
სავაჭრო ვალდებულებები.....	12
დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები	12
1. დივიდენდები	13
2. ამონაგები.....	13
3. ფინანსური დანახარჯები.....	13
4. სხვა ხარჯები	14
5. მოგების გადასახადის ხარჯი	14
6. წინასწარ გადახდილი თანხები.....	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
9. ძირითადი საშუალებები.....	15
10. არამატერიალური აქტივები.....	16
11. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები.....	16
12. საგადასახადო ვალდებულება.....	16

13.	საწესდებო კაპიტალი.....	17
14.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
15.	თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამგელოები.....	17
16.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18
17.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
18.	ფუნქციონირებადი საწარმო.....	18
19.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	18

შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	14	1223228	1428652	1056424
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1286642	624305	618727
წინასწარ გადახდილი თანხები	6	11403	57043	416
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	773699	1128308	1306000
სულ მიმდინარე აქტივები		3294972	3238308	2981567
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			0	0
ძირითადი საშუალებები	9	428896	519666	617701
არამატერიალური აქტივები		0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0	0
		428896	519666	617701
სულ აქტივები		3723868	3757974	3599268
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი			0	0
სავაჭრო ვალდებულებები	11	157286	77914	33857
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	12		2789	4702
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის			0	
დებიტორული დავალიანების ანარიცხი			0	
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	15			0
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		157286	80703	38559
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი			0	
სხვა სესხები			0	
გადასახდელი პროცენტი			0	
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		0	0	0

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		157286	80703	38559
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	2357	2357	2357
გაუნაწილებელი მოგება		3564225	3674914	3558352
სულ საკუთარი კაპიტალი		3566582	3677271	3560709
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3723868	3757974	3599268

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)

შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2021	2020
		ლარი	ლარი
ამონაგები	2	5034066	3208422
სხვა შემოსავალი		21722	203867
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება		0.00	
გამოყენებული ნედლეული და მასალები	8	-3448150	-1862125
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	15	-399418	-334507
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	-107908	-106592
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	4	-783501	-592503
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი		0	0
ფინანსური დანახარჯები	3	0	0.00
წლის მოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)		316811	516562
მოგების გადასახადის ხარჯი	5		
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		316811	516562
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		3674914	3558352
დივიდენდები	1	-427500	-400000
წმინდა მოგება წლის ბოლოს		3564225	3674914

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)

შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
		ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		4657434	3123860
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-3923094	-2497123
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		734340	626737
გადახდილი პროცენტები		0	0
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		-239149	-204523
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		495191	422214
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		-17138	-8557
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			8748
მიღებული დივიდენდები		14640	36630
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-2498	36821
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			95922
გაცემა მოკლევადიანი სესხების		-281479	41329
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)			
გადახდილი დივიდენდები		-406125	-380000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-687604	-242749
სავალუტო კურსის ეფექტი		-10513	155942
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		-205424	372228
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		1428652	1056424
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		1223228	1428652

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)

ზოგადი ინფორმაცია

კინდ-სმენა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 4 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №33, ხოლო ფაქტობრივი მისამართი არის ქ. თბილისი თევდორე მღღვლის ქ., №13. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამედიცინო მომსახურება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ

სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თურა

თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები:

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა:

10-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება

ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის არდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას

არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

1. დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

2. ამონაგები

ამონაგები:	2021 ლარი	2020 ლარი
სამედიცინო მომსახურებიდან	4 535 117	2 755 409
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	453 013	453 013
სულ ამონაგები	4 988 130	3 208 422

2020 წელს სხვა შემოსავალი მოიცავს:

- ✓ მიღებული დივიდენდი - 36 630 ლარს;
 - ✓ გასესხებული თანხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი - 10 260 ლარს;
 - ✓ დადებითი საკურსო სხვაობა - 156 977 ლარს,
- სულ 203 867 ლარი

2021 წელს საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 5 254 ლარს, მიღებული დივიდენდი 14 641 ლარს, სხვა 1827 ლარი, სულ 21 722 ლარი

3. ფინანსური დანახარჯები

	2021 ლარი	2020 ლარი
ბანკის სესხის პროცენტი	(0)	(0)
სხვა სესხის პროცენტი	(0)	(0)
სულ	(0)	(0)

4. სხვა ხარჯები

	2021 ლარი	2020 ლარი
ქონების გადასახადი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	3 605	4 469
საოპერაციო იჯარა (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	382 929	331 840
სუბკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამედიცინო სამუშაოები	4 370	5 560
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	129 952	90 468
უარყოფითი საკურსო სხვაობა	163 018	
სხვა საოპერაციო ხარჯი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	99 627	160 166
სულ	783 501	592 503

5. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის 2020 და 2021 წლებში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მოგების გადასახადმა შეადგინა:

- ✓ 2020 წელს - 0 ლარი;
- ✓ 2021 წელს - 0 ლარი.

6. წინასწარ გადახდილი თანხები

	2021 ლარი	2020 ლარი
წინასწარ(ავანსად) გადახდილი თანხები	7 976	57 043
საგადასახადო აქტივი	3 427	0
სულ	11 403	57 043

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 ლარი	2020 ლარი
დებიტორული დავალიანება მომსახურების მიწოდებიდან	669 927	292 281
მოთხოვნები სხვადასხვა პირების მიმართ	616 715	332 024
სულ	1 286 642	624 305

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია სამედიცინო სამუშაოების მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021 ლარი	2020 ლარი
ნედლეული და მასალები წლის დასაწყისში	1 128 308	1 306 000
ნედლეული და მასალების შეძენა	3 093 541	1 728 528
გახარჯული ნედლეული და მასალები	3 448 150	1 906 220
ნედლეული და მასალების ნაშთი წლის ბოლოს	773 699	1 128 308

9. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა ლარი	სამედიცინო მოწყობილობა ლარი	მსუბუქი ავტომობილი ლარი	ავეჯი და სხვა ლარი	სულ ლარი
თვითღირებულება					
1 იანვარი, 2020 წ.	895 215	480 506	75 260	44 106	1 495 087
შემოსვლა	0	0	0	8 557	8 557
გასვლა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი, 2020 წ.	895 215	480 506	75 260	52 663	1 503 644
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი, 2020 წ.	524 251	321 679	12 543	18 913	877 386
წლიური ცვეთა	44 761	48 051	7 526	6 254	106 592

გაუფასურება	0	0	0	0	0
გამოკლებული გასული					
აქტივების დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2020 წელი	569012	369730	20069	25167	983978
საბალანსო ღირებულება	326203	110776	55196	27491	519666
31 დეკემბერი, 2020 წ.					
1 იანვარი, 2021 წ.	895 215	480 506	75 260	52663	1503644
შემოსვლა	0	0		17138	17138
გასვლა	0	0	0	0	0
31 დეკემბერი, 2021 წ.	895 215	480 506	75 260	69801	1520782
დაგროვილი ცვეთა და					
გაუფასურება					
1 იანვარი, 2021 წ.	569012	369730	20069	25167	983978
წლიური ცვეთა	44 761	48 051	7 526	7570	107908
გაუფასურება	0	0	0	0	0
გამოკლებული გასული					
აქტივების დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2021 წელი	613773	417781	27595	32737	1091886
საბალანსო ღირებულება	281442	62725	47665	37064	428896
31 დეკემბერი, 2021 წ.					

10. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

11. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები

	2021 ლარი	2020 ლარი
მიმდინარე ვალდებულებები	157 286	77 914

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული ნედლეულის და მასალების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებისგან.

12. საგადასახადო ვალდებულება

	2021 ლარი	2020 ლარი
დამატებული ღირებულების გადასახადი	0	2 789

დღგ წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას და მისი გადახდის ვალდებულება დგება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და წარმოადგენს 2357 ლარს. კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზრუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2020
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	8 290	5 804
ფული საბანკო ანგარიშებზე	1 214 938	1 422 848
სულ	1 223 228	1 428 652

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

15. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები

	2021	2020
	ლარი	ლარი
დარიცხული ხელფასები	399 418	334 507
გაცემული ხელფასები	399 418	334 507
გასაცემი ხელფასები		

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

COVID-19 პანდემიამ 2020 წლიდან გლობალური მასშტაბით მძიმე რეცესია გამოიწვია. დიდია გაურკვევლობა პანდემიის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია სტაბილურია და ვირუსის გავრცელების რისკები დაბალია. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, შიდა ეკონომიკური აქტივობები შედარებით გააქტიურებულია.

2021 წლის მომსახურეობის მოცულობამ გადააჭარბა პანდემიის დაწყებამდე 2019 წლის მონაწემებს შესაბამისად მიგვაჩნია რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს, საფრთხე არ ემუქრება.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 ივლისს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	14	1223228	1428652	1056424
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1286642	624305	618727
წინასწარ გადახდილი თანხები	6	11403	57043	416
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	773699	1128308	1306000
სულ მიმდინარე აქტივები		3294972	3238308	2981567
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			0	0
ძირითადი საშუალებები	9	428896	519666	617701
არამატერიალური აქტივები		0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0	0
		428896	519666	617701
სულ აქტივები		3723868	3757974	3599268
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი			0	0
სავაჭრო ვალდებულებები	11	157286	77914	33857
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	12		2789	4702
ანარიცხები საგარანტიო			0	
ვალდებულებებისთვის			0	
დებიტორული დავალიანების ანარიცხი			0	
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	15			0
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		157286	80703	38559
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი			0	
სხვა სესხები			0	
გადასახდელი პროცენტი			0	
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		0	0	0

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		157286	80703	38559
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	2357	2357	2357
გაუნაწილებელი მოგება		3564225	3674914	3558352
სულ საკუთარი კაპიტალი		3566582	3677271	3560709
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3723868	3757974	3599268

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი:



ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)



შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2021	2020
		ლარი	ლარი
ამონაგები	2	5034066	3208422
სხვა შემოსავალი		21722	203867
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება		0.00	
გამოყენებული ნედლეული და მასალები	8	-3448150	-1862125
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	15	-399418	-334507
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	-107908	-106592
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	4	-783501	-592503
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი		0	0
ფინანსური დანახარჯები	3	0	0.00
წლის მოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)		316811	516562
მოგების გადასახადის ხარჯი	5		
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		316811	516562
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		3674914	3558352
დივიდენდები	1	-427500	-400000
წმინდა მოგება წლის ბოლოს		3564225	3674914

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)



შპს კინდ-სმენა (ს/კ: 204878365)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
		ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		4657434	3123860
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-3923094	-2497123
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		734340	626737
გადახდილი პროცენტები		0	0
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		-239149	-204523
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		495191	422214
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		-17138	-8557
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			8748
მიღებული დივიდენდები		14640	36630
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-2498	36821
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			95922
გაცემა მოკლევადიანი სესხების		-281479	41329
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)			
გადახდილი დივიდენდები		-406125	-380000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-687604	-242749
სავალუტო კურსის ეფექტი		-10513	155942
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		-205424	372228
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		1428652	1056424
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		1223228	1428652

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 30 ივლისს

დირექტორი: _____

ივანე ქევანიშვილი
(პ/ნ: 01024006505)

